დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის
2026 წლის 23 მარტის N 27 „ო“ ბრძანებით

მასწავლებელის კოლეჯში მიღებისა და სამუშაო გამოცდილების დადასტურების წესი

წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის, 2026 წლის 10 მარტის N 31/ნ ბრძანების, „პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ და 2026 წლის 16 მარტის N 34/ნ ბრძანების, „პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად და არეგულირებს კოლეჯში მასწავლებლის მიღების პროცედურებს და სამუშაო გამოცდილების დადასტურების საკითხს.

თავი I

მუხლი 1: კოლეჯის მასწავლებლები და მათი კოლეჯში მიღების წესები და პირობები

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი – არის პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში (გარდა პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამისა). პროფესიული განათლების მასწავლებლის სახეებია ძირითადი მასწავლებელი, მოწვეული მასწავლებელი, ინსტრუქტორი;

ა) ძირითადი მასწავლებელი – არის პირი, რომელიც აკმაყოფილებს ძირითადი მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და პროფესიული განათლების ფარგლებში წარმართავს სასწავლო პროცესს. ძირითად მასწავლებლად მუშაობის დასაწყებად კანდიდატს უნდა ჰქონდეს შესაბამისი პროგრამით/მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება, ან/და პროგრამით/მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი არანაკლებ ბოლო 10 წლის განმავლობაში სულ მცირე სამ წლიანი სამუშაო გამოცდილება.

ბ) მოწვეული მასწავლებელი – არის პირი, რომელიც აკმაყოფილებს მოწვეული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, არის შესაბამისი დარგის მოქმედი პრაქტიკოსი (რომელიც არ მოიცავს სწავლების გამოცდილებას) და პროფესიული განათლების ფარგლებში წარმართავს სასწავლო პროცესს. მოწვეულ მასწავლებლად მუშაობის დასაწყებად კანდიდატს უნდა ჰქონდეს პროგრამით/მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი სამუშაო გამოცდილება და პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსის მოპოვების დროისთვის უნდა იყოს მოქმედი პრაქტიკოსი შესაბამის დარგში.

გ) ინსტრუქტორი – არის პროგრამების თანაგანმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენელი, რომელიც ამავე დაწესებულებაში დუალური ფორმით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმართავს სასწავლო პროცესს. ინსტრუქტორად მუშაობის დასაწყებად კანდიდატს უნდა ჰქონდეს პროგრამით/მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი სამუშაო გამოცდილება.

2. ძირითადი და მოწვეული მასწავლებლის პოზიციებისთვის, დაწესებულების მიერ დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნაა: სწავლა-სწავლების პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი (სავალდებულო) და პედაგოგიური გამოცდილება (სასურველი).

3. პროგრამით/მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი სამუშაო გამოცდილება დასტურდება სამუშაო ადგილიდან წარმოდგენილი ცნობით.

4. ინსტრუქტორის შერჩევა ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის თანაგანმახორციელებელი დაწესებულების მიერ.

5. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განხორციელების შემთხვევაში პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო დატვირთა მოიცავს მხოლოდ ჩატარებული საათების რაოდენობას.

6. პირი, კონკრეტული დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსს მოიპოვებს პროგრამის განხორციელების შესახებ წინარე ხელშეკრულების, შრომითი ხელშეკრულების, მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების გზით. ხელშეკრულების ვადის გასვლის, ან შეწყვეტის შემთხვევაში პირს უწყდება ამ დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსი.

7. პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ პირი, პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსს მოიპოვებს თავიდან, ამ წესის შესაბამისად.

8. პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება მისი სამუშაო დატვირთვის შესაბამისად, რომლის გაანგარიშება ხდება შემდეგი პრინციპით – მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურებისთვის განსაზღვრული შეფასების საათების რაოდენობა გამრავლებული ოთხზე და დამატებული საკონტაქტო საათების რაოდენობა.

მუხლი 2: მასწავლებელთა შერჩევის პროცედურები

1. მასწავლებლებლის მოძიების მიზნით შერჩევა ხორციელდება ღია ან დახურული კონკურსის წესით.

2. ღია წესით კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში დაწესებულების დირექტორის ბრძანების შესაბამისად სახელმწიფო დასაქმების პორტალზე (hr.ge)-ზე, ან კოლეჯის ვებგვერდზე ან კოლეჯის ფეისბუქგვერდზე ცხადდება ვაკანსია, სადაც განისაზღვრება ვაკანსიაზე კანდიდატთა რეგისტრაციის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და შერჩევის ფორმა.

3. კანდიდატთა შერჩევის მიზნით დაწესებულების დირექტორის ბარძანებით იქმნება შერჩვის კომისია. კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ სამი წევრისაგან. შერჩევის კომისიაში საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოწვეული იქნას შესაბამისი მიმართულების/დარგის სპეციალისტი.

4. შერჩევის კომისია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში ანხორციელებს ვაკანსიაზე რეგისტრირებული კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადარჩევას და კანდიდატის შერჩევას.

5. ვაკანსიაზე კონკურსის არსებობის შემთხვევაში კანდიდატის შერჩევის მიზნით შედგება გასაუბრება.

6. კანდიდატთა შერჩევის შედეგები შერჩევის კომისიის მიერ ოქმის სახით წარედგინება დაწესებულების დირექტორს, რომელიც აღნიშნული ოქმის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას.

7. დახურული (კოლეჯში მომუშავე მასწავლებლებისთვის) წესით კანდიდატის შერჩევის შემთხვევაში არ ხორციელდება ვაკანსიის განთავსება სახელმწიფო დასაქმების პორტალზე (hr.ge)-ზე, კოლეჯის ვებგვერდზე და კოლეჯის ფეისბუქ გვერდზე, კანდიდატები განცხადებით მიმართავენ უშუალოდ დაწესებულებას. შერჩევა ხორციელდება ამ წესის მე-2 მუხლის მე-3-6 პუნქტებით განსაზღვრული პირობებით.

თავი II

დამტკიცებულია დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის
2025 წლის 14 თებერვლის N 22 „ო“ ბრძანებით

მასწავლებელის კოლეჯში მიღებისა და სამუშაო გამოცდილების დადასტურების წესი

წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 02 ივნისის N 97/ნ ბრძანების, „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი“-ს და ამ ბრძანებაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის N 168/ნ ბრძანებით, „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 2 ივნისის №97/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად და არეგულირებს კოლეჯში მასწავლებლის მიღების პროცედურებს და სამუშაო გამოცდილების დადასტურების საკითხს.

მუხლი 1: კოლეჯის მასწავლებლები და მათი კოლეჯში მიღების წესები და პირობები

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი _ პროფესიული განათლების მასწავლებელი არის პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში.

2. პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) უმაღლესი განათლება / პროფესიული განათლება. (პროგრამის, მოდულის ან შედეგის შესაბამისი);
ბ) სამუშაო გამოცდილება, შესაბამისი პროფესიით მუშაობის მინიმუმ ერთი წელი, რაც დასტურდება სამუშაო ადგილიდან წარმოდგენილი ცნობით; გ) პედაგოგიური გამოცდილება (სასურველია).
დ) სწავლა-სწავლების პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარები.

3. პროფესიული განათლების მასწავლებელი კოლეჯში მიიღება შრომითი ხელშეკრულებით, პროფესიული ჯგუფის სწავლების ხანგრძლივობის შესაბამისი დროით. Pპროფესიული ჯგუფის სასწავლო კურსის დამთავრებისთანავე თავისუფლდება დაკავებული პოზიციიდან და უუქმდება შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულება შეიძლება განუახლდეს შესაბამისი სპეციალობით, ახალი ჯგუფის მიღების შემთხვევაში.

4. თუ სასწავლებელში არსებობს ჯგუფი, რომლებშიც ისწავლება იგივე საგნები და სასწავლო პერიოდი გრძელდება, მასწავლებლის ხელშეკრულების დრო შეიძლება განისაზღვროს ერთ წელზე მეტი ვადით. 5. პროფესიული განათლების მასწავლებელს შრომის ანაზღაურება მიეცემა ფაქტიურად ჩატარებული საათების მიხედვით, ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორებით.

6. შრომით ხელშეკრულებაში უნდა განისაზღვროს შრომითი ურთიერთობის მხარეთა, კოლეჯის (დამსაქმებლის) და მასწავლებლის (დასაქმებულის) სხვა უფლება _ მოვალეობანი, რომლებიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კანონმდებლობას.

მუხლი 2: მასწავლებელთა შერჩევის პროცედურები

1. მასწავლებლებლის მოძიების მიზნით შერჩევა ხორციელდება ღია ან დახურული კონკურსის წესით.

2. ღია წესით კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში დაწესებულების დირექტორის ბრძანების შესაბამისად სახელმწიფო დასაქმების პორტალზე (hr.ge)-ზე, ან კოლეჯის ვებგვერდზე ან კოლეჯის ფეისბუქგვერდზე ცხადდება ვაკანსია, სადაც განისაზღვრება ვაკანსიაზე კანდიდატთა რეგისტრაციის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და შერჩევის ფორმა.

3. კანდიდატთა შერჩევის მიზნით დაწესებულების დირექტორის ბარძანებით იქმნება შერჩვის კომისია. კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ სამი წევრისაგან. შერჩევის კომისიაში საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოწვეული იქნას შესაბამისი მიმართულების/დარგის სპეციალისტი.

4. შერჩევის კომისია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში ანხორციელებს ვაკანსიაზე რეგისტრირებული კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადარჩევას და კანდიდატის შერჩევას.

5. ვაკანსიაზე კონკურსის არსებობის შემთხვევაში კანდიდატის შერჩევის მიზნით შედგება გასაუბრება.

6. კანდიდატთა შერჩევის შედეგები შერჩევის კომისიის მიერ ოქმის სახით წარედგინება დაწესებულების დირექტორს, რომელიც აღნიშნული ოქმის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას.

7. დახურული (კოლეჯში მომუშავე მასწავლებლებისთვის) წესით კანდიდატის შერჩევის შემთხვევაში არ ხორციელდება ვაკანსიის განთავსება სახელმწიფო დასაქმების პორტალზე (hr.ge)-ზე, კოლეჯის ვებგვერდზე და კოლეჯის ფეისბუქ გვერდზე, კანდიდატები განცხადებით მიმართავენ უშუალოდ დაწესებულებას. შერჩევა ხორციელდება ამ წესის მე-2 მუხლის მე-3-6 პუნქტებით განსაზღვრული პირობებით.

წესში განხორციელებული ცვლილებები:

1. ***2026 წლის 14 იანვრის N 6 „ო“ ბრძანება;***

თავი III

გარდამავალი დებულებები

1. ამ წესის პირველი თავი ამოქმედდეს 2027 წლის 01 იანვრიდან.
2. ამ წესის მეორე თავი ძალადაკარგულად ჩაითვალოს ამ წესის პირველი თავის ამოქმედებისთანავე.